ხელშეკრულება № 40

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი - NAT190003180)

ქ. თბილისი

„4" „მარტი" 2019 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16 ტელეფონი: 2-**26-13-35**, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, სკ-204862078), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად"**, წარმოდგენილი საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის თეიმურაზ ფერაძის სახით და სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" (მისამართი: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№5, ტელეფონი: 295-48-18, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE08VT6600000000323606, სს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია", კოდი: UGEBGE22, სკ-202886172) შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვასილ მენთეშაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" _ წინამდებარე ხელშეკრულების ფასთა ცხრილით განსაზღვრული საქონელი.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების ფასთა ცხრილით განსაზღვრული საქონლის მიწოდება (CPV კოდი -22800000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **5954 (ხუთი ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ფასთა ცხრილის შესაბამისად, ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16.

ბ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის ხარისხი

საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ფასთა ცხრილში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნანა ზარდიაშვილი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს **საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი ზაქარია წითლაური.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (თუ პირი დღგ-ს გადამხდელია) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით და ფასთა ცხრილით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ამ მუხლის 10.1 ან/და 10.2 პუნქტებით გათვალისწინებული დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა 10.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით.

16.2 მხარეები უფლებამოსილი არიან, ხელშეკრულება დაამოწმონ/დაადასტურონ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით.

16.3 ხელშეკრულების ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ ან/და ელექტრონული შტამპით არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16,
ტელეფონი: 226-13-35,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№ GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 204862078

მიმწოდებელი

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი,
მისამართი: მარჯანიშვილის ქ.№5,
ტელეფონი: 295-48-18,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE08VT6600000000323606,
სს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია", კოდი UGEBGE22,
სკ - 202886172

BECHDVITI SITKVIS KOMBINATI JSC

Digitally signed by BECHDVITI SITKVIS KOMBINATI JSC
Date: 2019.03.04 16:57:40 +04'00'

ფასთა ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური აღწერილობა	განზომილების ერთეული	რაოდენობა (არაუმეტეს)	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადები	მწარმოებელი და წარმოშობის ქვეყანა
1		ჟურნალი გასული დოკუმენტების აღრიცხვისათვის - A 4 ფორმატის 150 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	5	15	75		
2		ჟურნალი შემოსული დოკუმენტების აღრიცხვისათვის - A 4 ფორმატის 200 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	25	13	325		
3		ჟურნალი ბლანკების აღრიცხვისათვის - A 4 ფორმატის 150 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	5	15	75		
4		ჟურნალი ბრძანებების აღრიცხვისათვის - A 4 ფორმატის 150 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	3	15	45		
5		ჟურნალი მივლინების ბრძანებების აღრიცხვისათვის - A4ფორმატის 150 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	3	15	45		
6		ჟურნალი რეგისტრაციისათვის - A 4 ფორმატის 150 ფურცლინიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	20	13	260		
7		ჟურნალი არქივიდან დოკუმენტაციის დროებით სარგებლობისათვის - A 4 ფორმატის 150 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	5	15	75		
8		ჟურნალი დოკუმენტების დაბრუნების აღრიცხვისათვის - A 4 ფორმატის 150 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	3	15	45		

9	ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები (CPVკოდი-22800000)	მინისტრის სატიტულო ბლანკი - 100 გრ. ტილო, თეთრი ფერის, ფერადი ბეჭდვა, უკანამხარეს 6 ნიშნა დაცული ნუმერაცია მანათობელი, პენეტრირებული წყლის ნიშანი და გერბი კონგრევით	ცალი	5000	0,35	1750	ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.	საქართველო, სს ,,ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი"
10		საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის ბლანკი - 100გრ. ტილო, თეთრი ფერის, ფერადი ბეჭდვა, უკანამხარეს 6 ნიშნა დაცული ნუმერაცია მანათობელი, გერბით	ცალი	3000	0,34	1020		
11		საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანების ბლანკი - 100გრ/მ2 ოფსეტი, დაფარული კოლოტეკით, ფერადი ბეჭდვა, უკანა მხარეს 6 ნიშნა დაცული ნუმერაცია მანათობელი, გერბით	ცალი	1000	0,15	150		
12		ჟურნალი შემოსული საიდუმლო დოკუმენტების აღრიცხვის - 19X29სმ ფორმატის 150 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	9	14	126		
13		ჟურნალი გასული საიდუმლო დოკუმენტების აღრიცხვის - 19X29სმ ფორმატის 150 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	9	14	126		
14		ჟურნალი საიდუმლო პაკეტების აღრიცხვის -20.5X30 სმ ფორმატის 100 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	9	14	126		
15		ჟურნალი საიდუმლო დოკუმენტების მოძრაობის აღრიცხვის - 19X29 სმ ფორმატის, 150 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით (იხ.სურათი #15)	ცალი	4	15	60		
16		შესაკერისაქმისყდა 22X30 სისქე 1მმ	ცალი	30	2,7	81		
17		განცხადებების და საჩივრების აღრიცხვის ჟურნალი A 4 ფორმატის - 200 ფურცლიანი აკინძვით, მუქი მაგარი ყდით	ცალი	5	18	90		

18	სისხლის სამართლის საქმის ყდა - ქაღალდი ბრისტოლი 250 გრ/მ2 ზომა 350მმმX600მმმ. ბეჭდვა ცალმხრივი	ცალი	3000	0,36	1080		
19	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის წერილის ბლანკი - 100გრ/მ2 ოფსეტი, დაფარული კოლოტეკით, ფერადი ბეჭდვა, უკანა მხარეს 6 ნიშნა დაცული ნუმერაცია მანათობელი, პენეტრირებული წყლის ნიშანი	ცალი	300	0,8	240		
20	ბუღალტრული აღიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წერილის ბლანკი - 100გრ. ტილო, თეთრი ფერის, ფერადი ბეჭდვა, უკანა მხარეს 6 ნიშნა დაცული ნუმერაცია მანათობელი	ცალი	200	0,8	160		
				სულ ღირებულება:	5954		

სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

BECHDVITI SITKVIS KOMBINATI JSC

Digitally signed by BECHDVITI SITKVIS KOMBINATI JSC
Date: 2019.02.25 12:24:34 +04'00'

ნუსხათი №1

სად და ვის გაეგზავნა		დოკუმენტის №	შენიშვნა

ხუხათი №2

დოკუმენტის რეგისტრაციის №	შემოსული დოკუმენტის № და თარიღი	საიდან შემოვიდა დოკუმენტი	ვის გადაეცა

ნუსხა №3

გერბიანი ბლანკების სახეობის დასახელება	შემოსვლის თარიღი	თანდართული დოკუმენტის ნომერი	მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება	ეგზემპლიარების რაოდენობა	ბლანკების სერია და ნომერი

ხუთი №4

ბრძანებების № და თარიღი	შინაარსი	შენიშვნა

ნუსხათი № 5

რიგითი №	ბრძანების № და თარიღი	მივლინებული პიროვნება და თანამდებობა	მივლინების ადგილი და დრო

ბუღალ №7

თარიღი	ვის გადაეცა დოკუმენტი	დოკუმენტის დასახელება	ხელმოწერა დოკუმენტის მიღებაზე	ხელმოწერა დოკუმენტის დაბრუნებაზე	შენიშვნა

ადრესატი	შემოსული დოკუმენტის რეგისტრაციის №	შემოსული დოკუმენტის № და თარიღი	ხელმოწერა დოკუმენტის მიღებაზე	შენიშვნა

ნუსხათ №9

საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia

№ _____

____ / _____ / 201

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261444
ელ-ფოსტა: info@mof.ge
ვებ-გვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261444
E-mail: info@mof.ge
website: www.mof.ge

Ministry of Finance
of Georgia

№ _____

____ / _____ / 201

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412
ელ-ფოსტა: info@mof.ge
ვებ-გვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412
E-mail: info@mof.ge
website: www.mof.ge

ხელოთ №11

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება №

„_____“_____201 წელი ქ. თბილისი

1. შემოსული საიდუმლო დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი (ნიმუში) (ფორმატი: 19x29 სმ)

ხუთი № 12

რიგითი სააღრიცხვო № (*შემოსვლის*) და საიდუმლოების გრიფი	შემოსული დოკუმენტის ნომერი და თარიღი	საიდან შემოვიდა	სახეობა და მოკლე შინაარსი	ფურცლების რაოდენობა, ეგზემპლარების ნომრები		ვის გადაეცა დოკუმენტი შესასრულებლად ხელმოწერა და თარიღი	სარეჟიმო-საიდუმლო ორგანოს მუშაკის ხელმოწერა შემსრულებლისგან დოკუმენტის მიღებაზე და თარიღი	საქმის და ტომის ნომერი, სადაც ჩაიკერა დოკუმენტი და ფურცლების ნომრები		აღნიშვნა დოკუმენტის არსებობის შემოწმების შესახებ	შენიშვნა
				ძირითადი	დანართი			ძირი-თადი	დანარ-თი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

2. გასული საიდუმლო დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი (წიმუში) (ფორმატი 19x29 სმ)

ხაზი № 13

საფრიცხვო №№ და თარიღი	საიდუმლოების გრიფი	სად და ვის გაეგზავნა დოკუმენტი	მოკლე შინაარსი	რომელი შემოსული №№ სრულდება	დაბეჭდილი ფურცლების რაოდენობა		რამდენი ეგზემპლარი დაიბეჭდა	შემსრულებლის გვარი	სად ჩაიკერა დოკუმენტის ასლი, საქმის №№ ფურცლების №№	შენიშვნა (თარიღი დოკუმენტის არსებობის შემოწმების შესახებ)
					ძირითადი დოკუმენტის	დანართი				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

3. საიდუმლო პაკეტების აღრიცხვის ჟურნალი (ნიმუში) (ფორმატი 20.5x30 სმ)

ბუხათ №14

მიღებული რეესტრის ნომერი და თარიღი, პაკეტების რაოდენობა, ჩაბარებულ კორესპონდენციაზე ფელდეგერის ხელმოწერა და თარიღი	რიგითი №	საიდან შემოვიდა	პაკეტზე აღნიშნული დოკუმენტის №	დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღი	მიმღების ხელმოწერა პაკეტის რაოდენობის ჩვენებით	რომელი შემოსული ნომრით არის აღრიცხული დოკუმენტი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8

4. საიდუმლო დოკუმენტების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი (წიმუში) (ფორმატი 19x29)

სუხათ №15

დოკუმენტის (საქმის) №	გაცემის თარიღი	დასახელება	ვის გადაეცა (შემსრულებლის გვარი)	ფურცლების რაოდენობა	შემსრულებლის ხელმოწერა მიღებაზე	სარეჟიმო-საიდუმლო ორგანოს მუშაკის ხელმოწერა მიღებაზე და თარიღი
1	2	3	4	5	6	7

5. შესაკერი საქმის ყდა



ნუსხათ № 17

საინვ. № _____

შენახვის ვადა _____

განცხადებების და საჩივრების რეგისტრაციის

ჟ ურ ნ ა ლ ი

ტომი № ____

დაწყება „__“ _____ 200 წ.

დამთავრება „__“ _____ 200 წ.

_____ ფურცელზე

ჟურნალი _____ ტომად

რიგითი სააღრიცხვო №	განცხადების (საჩივრის) შემოსვლის თარიღი	განმცხადებლის გვარი, ინიციალები, მისამართი	მოკლე შინაარსი
1	2	3	4

ძირითადი დოკუმენტი	დანართი	ვის გადაეცა დოკუმენტი შესასრულებლად ხელმოწერა და თარიღი	ჩამოიწერა	შენიშვნა
5	6	7	8	9

ნუსხა №18

(საგამოძიებო ორგანოს დასახელება)

საქმე № _____

ბრალდებისა გამო: _____
(ბრალდებულთა სახელები და გვარები)

დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

ყო: _____ 20 ____ წ.
(რიცხვი, თვე, წელი)

ავრდა: _____ 20 ____ წ.
(რიცხვი, თვე, წელი)

№ _____

სულ "_____" ფურცლად

ხუთასი №19

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო
სახაზინო სამსახური

TREASURY SERVICE
MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№_____

„ ___ “ _____ 20

საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ.16 / 16 Gorgasali str. Tbilisi 0114, Georgia.
ტელ./Tel.: (+995 32) 226 18 08; 226 16 30. infotreasury@mof.ge; www.treasury.ge

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

No_____

_____ / _____ / 201

მერაბ ალექსიძის #1,
საქართველო, თბილისი, 0193
ტელ: (032) 2 26 11 92

#1 Merab Aleksidze s
Georgia, Tbilisi, 019
Tel: (032) 2 26 11 9